<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის – მეურვეობის 3 კანდიდატის შესარჩევი საპარლამენტო საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 209-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დამტკიცდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის – მეურვეობის 3 კანდიდატის შესარჩევი საპარლამენტო საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) მაკო ჯაოშვილი – მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“ ვიცე-რექტორი, ასოცირებული პროფესორი;

ბ) ბაკურ ბაკურაძე – რეჟისორი;

გ) მიხეილ ჯავახიშვილი – მუსიკოსი, თბილისის ახალგაზრდული კაპელის ხელმძღვანელი;

დ) ეკა მელქაძე – ჟურნალისტი;

ე) ნინო მეუნარგია – ჟურნალისტი, რადიო „იმედის“ წამყვანი, საავტორო გადაცემა „ჩვენ აქ ვართ“;

ვ) ერმილე მესხია – ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ზ) გიორგი იმედაშვილი – საქართველოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი;

თ) გიორგი დავითური – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მედიისა და გამოხატვის

თავისუფლების მიმართულების ხელმძღვანელი;

ი) მარიამ გოგოსაშვილი – საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ვოლსკი

თბილისი,
2022 წლის --- მარტი.
№----------